

## შპს თბილისის იპოდრომი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი 2021

**სარჩევი**

|                                                    |   |
|----------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                 | 3 |
| მოგება ზარალის ანგარიშგება                         | 4 |
| საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები     | 6 |

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                         | შენიშვნა | 31.12.2021<br>ლარი | 31.12.2020<br>ლარი |
|-------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                                                         |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებები                                                    | 4.4      | 8 422 800          | 8 521 013          |
| ბიოლოგიური აქტივები                                                     |          | 98 031             | 85 601             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                        |          | <b>8 520 830</b>   | <b>8 606 614</b>   |
| სასაქონლო მარაგები                                                      |          | 54 852             | 64 266             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                              | 4.2      | 103 109            | 18 874             |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                              |          | 61 154             | 11 847             |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                   | 4.1      | 640 021            | 808 004            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                        |          | <b>859 136</b>     | <b>902 991</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                                                     |          | <b>9 379 966</b>   | <b>9 509 604</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                                                    |          |                    |                    |
| საგადასახადო ვალდებულებები                                              |          | 19 279             | 1 187              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                                         |          | 61 189             | 74 217             |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                   | 4.3      | 21 606             | 30 195             |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                   |          | <b>102 074</b>     | <b>105 600</b>     |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები                                         |          | 54 939             | 37 530             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                |          | <b>157 013</b>     | <b>143 130</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                                                      |          | 8380497            | 8 380 497          |
| გაუნაწილებელი მოგება                                                    |          | -226504            | -82983             |
| სხვა რეზერვები                                                          |          | 1068960            | 1 068 960          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                                     |          | <b>9 222 953</b>   | <b>9 366 474</b>   |
| <b>სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>9 222 953</b>   | <b>9 366 474</b>   |
| არამკონტროლებელი წილი                                                   |          |                    | -                  |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>                           |          | <b>9 379 966</b>   | <b>9 509 604</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი

ლაშა ჯაიანი, 01008017004



## კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                       | შენიშვნა | 2021<br>ლარი     | 2020<br>ლარი     |
|---------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                             | 4.5      | 856 424          | 1 765 105        |
| ამონაგების თვითღირებულება             |          | (298 482)        | (271 696)        |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>557 943</b>   | <b>1 493 409</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები               | 4.6      | (775 816)        | (745 046)        |
| ფინანსური შემოსავალი/ხარჯი            |          | 65 815           | 48 662           |
| არასაკონტროლებელი შემოსავალი / ხარჯი  |          | 8 538            | 11 076           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |
| მოგების გადასახადი                    |          | -                | -                |
| <b>წმინდა მოგება/ზარალი</b>           |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |
| <b>მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:</b>   |          |                  |                  |
| მშობელი საწარმოს მფლობელთათვის        |          | (143 520)        | 808 101          |
| არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის |          | -                | -                |
| <b>მოგება/ზარალი</b>                  |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.



შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი

ლაშა ჯაიანი, 01008017004

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელ<br>ი მოგება | სხვა<br>რეზერვები | სულ მშობელი<br>საწარმოს<br>მფლობელთათვის<br>განკუთვნილი<br>საკუთარი კაპიტალი | არამაკონტრო<br>ლებელი წილი | სულ<br>საკუთარი<br>კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|--------------------------|-------------------|------------------------------------------------------------------------------|----------------------------|-----------------------------|
|                              | ლარი                  | ლარი                     |                   | ლარი                                                                         | ლარი                       | ლარი                        |
| ნაშთი - 01/01/2020           | 8 380 497             | (884 150)                |                   | 6 983 127                                                                    | -                          | 8 565 309                   |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება |                       | -                        |                   | -                                                                            | -                          | -                           |
| გაცემული დივიდენდები         |                       |                          |                   |                                                                              |                            | -                           |
| პერიოდის მოგება/ზარალი       |                       | 808 101                  |                   |                                                                              |                            | 808 101                     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები    |                       | (6 934)                  |                   |                                                                              |                            | (6 934)                     |
| ნაშთი - 31.12.2020           | 8 380 497             | (76 048)                 |                   | 6 983 127                                                                    | -                          | 9 366 475                   |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება |                       | -                        |                   | -                                                                            | -                          | -                           |
| გაცემული დივიდენდები         |                       |                          |                   |                                                                              |                            | -                           |
| პერიოდის მოგება/ზარალი       |                       | (143 520)                |                   |                                                                              |                            | (143 520)                   |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები    |                       | -                        |                   |                                                                              |                            | -                           |
| ნაშთი - 31.12.2020           | 8 380 497             | (219 569)                | -                 | 6 983 127                                                                    | -                          | 9 222 955                   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.



დირექტორი

ლაშა ჯაიანი, 01008017004

## კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                  | 2021<br>წელი     | 2020<br>წელი   |
|------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                 |                  |                |
| მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები                         | 890 577          | 1 906 569      |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                       | 24 595           | 21 804         |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                           | (432 980)        | (387 371)      |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                      | (393 863)        | (330 724)      |
| ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები                         | (67)             | (112)          |
| გადახდილი გადასახადები                                           | (315 828)        | (562 632)      |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები            | (55 730)         | (187 192)      |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>(283 295)</b> | <b>460 342</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>               |                  |                |
| მიღებული პროცენტები                                              | 65 815           | 48 662         |
| სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)  | (15 379)         | -              |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>50 436</b>    | <b>48 662</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:</b>                  |                  |                |
| სესხების აღება                                                   | 68 179           | 130 100        |
| სესხების დაფარვა                                                 | (3 120)          | (32 800)       |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>65 059</b>    | <b>97 300</b>  |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                           | <b>(167 800)</b> | <b>606 305</b> |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b> | <b>808 004</b>   | <b>201 699</b> |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>      | <b>640 021</b>   | <b>808 004</b> |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.



შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი

ლაშა ჯაიანი, 01008017004

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისი იპოდრომი ს/კ 405170777, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 14/08/2006 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №13.

31 დეკემბერი 2021-ის მდგომარეობით შპს თბილისის იპოდრომი 100% წილის მფლობელია შპს თბილისი იპოდრომ სერვისის ს/კ 404869282.

ჯგუფის შექმნის თარიღია 28 თებერვალი 2011 წელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხენოსნო სპორტული კლუბების საქმიანობები.

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია 1 ლარის ერთეულამდე სიზუსტით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

#### 3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

#### 3.2. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

#### 3.3. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს,

შემდეგია: ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები და სასარგებლო გამოყენების ვადები:

შენობა ნაგებობები -4 %

მანქანა დანადგარები - 15-20%

საოფისე აღჭურვილობა -20-25%

ავეჯი და მოწყობილობები -14-20%

სატრანსპორტო საშუალებები -10-20%

სხვა ძირითადი საშუალებები -5-20%

შენობა-ნაგებობები 25-50 წელი -

მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი

კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი

ავეჯი 12-18 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

### 3.4. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ცხენების კვების, მოვლა-პატრონობის და ჰიგიენის -თვის საჭირო მასალები. მასალები ჩამოიწერება რეალიზაციის დროს და თვითღირებულების ნაწილს შეადგენს.

**3.5. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო**

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

**3.6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად

**3.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერი 2020 ლარი/1 აშშ დოლარი 3,2766 ლარი/1 ევრო 4,0233

31 დეკემბერი 2021 ლარი/1 აშშ დოლარი 3.0976 ლარი /1 ევრო 3.5040

**3.8. მოგების გადასახადი**

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში. მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1. დივიდენდის განაწილება 2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის 3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას 4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას 5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება 6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

#### 4.1 ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები    | 31.12.2021     | 31.12.2020     |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული საღაროში                      | 4 343          | 41 029         |
| ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 11 286         | 15 725         |
| ნაღდი ფული ვადიან დეპოზიტებზე            | 624 391        | 751 250        |
|                                          | <b>640 021</b> | <b>808 004</b> |

#### 4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|----------------------------|---------------|---------------|
| ადგილობრივი დამკვეთები     | 103 109       | 18 873        |
|                            | <b>18 873</b> | <b>18 873</b> |

#### 4.3 სავაჭრო ვალდებულებები

| სავაჭრო ვალდებულებები    | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|--------------------------|---------------|---------------|
| ადგილობრივი მომწოდებლები | 21 606        | 29 793        |
|                          | <b>29 793</b> | <b>29 793</b> |

## 4.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

|                                                                        | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები<br>(GEL) | მანქანა-<br>დანადგ-<br>არები<br>(GEL) | საოფის<br>ქ<br>ალჭურვ<br>ილობა<br>(GEL) | სხვა<br>(GEL) | ბიოლოგი<br>ური<br>აქტივი<br>(GEL) | სულ<br>(GEL) |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|---------------|-----------------------------------|--------------|
| ისტორიული ღირებულება                                                   |                                           |                                       |                                         |               |                                   |              |
| ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                | 8,606,938                                 | 41,845                                | 3,854                                   | 13,499        | 64,900                            | 8,731,035    |
| დამატება                                                               | 54,199                                    | -                                     | 18,261                                  |               | 20,701                            | 93,161       |
| (შემცირება)                                                            | (95,261)                                  |                                       |                                         | (420)         |                                   | (95,681)     |
| გადაფასება                                                             |                                           |                                       |                                         |               |                                   | -            |
| სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით           | 8,565,875                                 | 41,845                                | 22,115                                  | 13,079        | 85,601                            | 8,728,515    |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   |              |
| ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                | 112280.34                                 | 8250.20                               | 164.61                                  | 0.00          | 0.00                              | 120,695      |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                           | 112,373                                   | 8,250                                 | 1,278                                   | -             |                                   | 121,901      |
| ჩამოწერა                                                               |                                           |                                       |                                         |               |                                   | -            |
| სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 224,653                                   | 16,500                                | 1,443                                   | -             | -                                 | 121,901      |
| ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით                 | 7,870,393                                 | 16,500                                | 20,672                                  | 13,079        | 85,601                            | 8,606,614    |

|                                                                        | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები<br>(GEL) | მანქანა-<br>დანადგ-<br>არები<br>(GEL) | საოფის<br>ქ<br>ალჭურვ<br>ილობა<br>(GEL) | სხვა<br>(GEL) | ბიოლოგი<br>ური<br>აქტივი<br>(GEL) | სულ<br>(GEL) |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|---------------|-----------------------------------|--------------|
| ისტორიული ღირებულება                                                   |                                           |                                       |                                         |               |                                   |              |
| ნაშთი 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                | 8 453 502                                 | 33 595                                | 20 837                                  | 13 079        | 85 601                            | 8 606 614    |
| დამატება                                                               | 81 555                                    | 21 172                                | -                                       | -             | 13 430                            | 116 156      |
| (შემცირება)                                                            | (72 234)                                  | -                                     | -                                       | -             | (1 000)                           | (73 234)     |
| გადაფასება                                                             | -                                         | -                                     | -                                       | -             | -                                 | -            |
| სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით           | 8 462 824                                 | 54 766                                | 20 837                                  | 13 079        | 98 031                            | 8 649 536    |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   |              |
| ნაშთი 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                | 224653                                    | 22396                                 | 1443                                    | 0             | 0                                 | 248 492      |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                           | 112 699                                   | 11 551                                | 4 456                                   | -             | -                                 | 128 706      |
| ჩამოწერა                                                               |                                           |                                       |                                         |               |                                   | -            |
| სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 337 352                                   | 33 947                                | 5 899                                   | -             | -                                 | 377 198      |
| ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით                 | 8 350 125                                 | 43 215                                | 16 381                                  | 13 079        | 98 031                            | 8 520 830    |

**4.5 შემოსავლები**

ჯგუფის შემოსავლის წყაროა საცხენოსნო სპორტული სკოლიდან და იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები.

| <b>ამონაგები</b>                                | <b>2 021</b>     | <b>2 020</b>     |
|-------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან              | 856 424          | 579 258          |
| შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან |                  | 1 185 847        |
|                                                 | <b>1 765 105</b> | <b>1 765 105</b> |

**4.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

| <b>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი</b> | <b>2021</b>    | <b>2020</b>    |
|-------------------------------------------------|----------------|----------------|
| სახელფასო ხარჯი                                 | 491 131        | 399 174        |
| საოფისე ხარჯი                                   | 1 608          | 1 862          |
| ელექტროენერგიის ხარჯები                         | 17 375         | 15 461         |
| წყალის, ხარჯები                                 | 14 460         | 5 496          |
| ბუნებრივი აირის, ხარჯები                        | 5 240          | 3 879          |
| მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები                 | 7 078          | 9 183          |
| საკანცელარიო ხარჯები                            | 777            | 708            |
| სამეურნეო ხარჯი                                 | 5 512          | 13 755         |
| კომუნიკაციის ხარჯები                            | 2 193          | 1 166          |
| დასუფთავების ხარჯი                              | 604            | 2 896          |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები                | 4 042          | 2 329          |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                      | 128 706        | 124 849        |
| საგადასახადო ხარჯები                            | 68 293         | 74 556         |
| საბანკო ხარჯები                                 | 389            | 1 159          |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები          | 28 409         | 88 575         |
|                                                 | <b>775 816</b> | <b>745 046</b> |

## 4.7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი          | 2021         | 2020          |
|------------------------------------------------|--------------|---------------|
| საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე საშეღავათო |              |               |
| თანხის შემოსავალში აღიარება                    | -            | 20 504        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                  | 8 538        |               |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                       | -            | 9 428         |
|                                                | <b>8 538</b> | <b>11 076</b> |

## 5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული

გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

## ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

## ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**6. გაუთვალისწინებელი გარემოებები**

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც 2020- 2021 წლებში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში.

ამ გარემოებებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე:

- საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებით გამოცხადდა გარკვეული შეზღუდვები, რამაც ხელი შეუშალა კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას. შემცირდა შემოსავლები და შეიზღუდა მომართვიანობა ჩვენი მომსახურების მიმართ.

**7. ბალანსის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა

**8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2022 წლის 20 სექტემბერს.



დირექტორი

ლაშა ჯაიანი, 01008017004

## შპს თბილისის იპოდრომი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი 2021

## სარჩევი

|                                                    |   |
|----------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                 | 3 |
| მოგება ზარალის ანგარიშგება                         | 4 |
| საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები     | 6 |

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                         | შენიშვნა | 31.12.2021<br>ლარი | 31.12.2020<br>ლარი |
|-------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                                                         |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებები                                                    | 4.4      | 8 422 800          | 8 521 013          |
| ბიოლოგიური აქტივები                                                     |          | 98 031             | 85 601             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                        |          | <b>8 520 830</b>   | <b>8 606 614</b>   |
| სასაქონლო მარაგები                                                      |          | 54 852             | 64 266             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                              | 4.2      | 103 109            | 18 874             |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                              |          | 61 154             | 11 847             |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                   | 4.1      | 640 021            | 808 004            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                        |          | <b>859 136</b>     | <b>902 991</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                                                     |          | <b>9 379 966</b>   | <b>9 509 604</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                                                    |          |                    |                    |
| საგადასახადო ვალდებულებები                                              |          | 19 279             | 1 187              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                                         |          | 61 189             | 74 217             |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                   | 4.3      | 21 606             | 30 195             |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                   |          | <b>102 074</b>     | <b>105 600</b>     |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები                                         |          | 54 939             | 37 530             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                |          | <b>157 013</b>     | <b>143 130</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                                                      |          | 8380497            | 8 380 497          |
| გაუნაწილებელი მოგება                                                    |          | -226504            | -82983             |
| სხვა რეზერვები                                                          |          | 1068960            | 1 068 960          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                                     |          | <b>9 222 953</b>   | <b>9 366 474</b>   |
| <b>სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>9 222 953</b>   | <b>9 366 474</b>   |
| არამაკონტროლებელი წილი                                                  |          |                    | -                  |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>                           |          | <b>9 379 966</b>   | <b>9 509 604</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი \_\_\_\_\_ ლაშა ჯაიანი, 01008017004

## კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                      | შენიშვნა | 2021<br>ლარი     | 2020<br>ლარი     |
|--------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                            | 4.5      | 856 424          | 1 765 105        |
| ამონაგების თვითღირებულება            |          | (298 482)        | (271 696)        |
| <b>საერთო მოგება</b>                 |          | <b>557 943</b>   | <b>1 493 409</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები              | 4.6      | (775 816)        | (745 046)        |
| ფინანსური შემოსავალი/ხარჯი           |          | 65 815           | 48 662           |
| არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი     |          | 8 538            | 11 076           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |
| მოგების გადასახადი                   |          | -                | -                |
| <b>წმინდა მოგება/ზარალი</b>          |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |
| <b>მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:</b>  |          |                  |                  |
| მშობელი საწარმოს მფლობელთათვის       |          | (143 520)        | 808 101          |
| არამკონტროლებელი წილის მფლობელთათვის |          | -                | -                |
| <b>მოგება/ზარალი</b>                 |          | <b>(143 520)</b> | <b>808 101</b>   |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი \_\_\_\_\_ ლაშა ჯაიანი, 01008017004

## კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელ<br>ი მოგება | სხვა<br>რეზერვები | სულ მშობელი<br>საწარმოს<br>მფლობელთათვის<br>განკუთვნილი<br>საკუთარი კაპიტალი | არამაკონტრო<br>ლებელი წილი | სულ<br>საკუთარი<br>კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|--------------------------|-------------------|------------------------------------------------------------------------------|----------------------------|-----------------------------|
|                              | ლარი                  | ლარი                     |                   | ლარი                                                                         | ლარი                       | ლარი                        |
| <b>ნაშთი - 01/01/2020</b>    | <b>8 380 497</b>      | <b>(884 150)</b>         |                   | <b>6 983 127</b>                                                             | <b>-</b>                   | <b>8 565 309</b>            |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება |                       | -                        |                   | -                                                                            | -                          | -                           |
| გაცემული დივიდენდები         |                       |                          |                   |                                                                              |                            | -                           |
| პერიოდის მოგება/ზარალი       |                       | 808 101                  |                   |                                                                              |                            | 808 101                     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები    |                       | (6 934)                  |                   |                                                                              |                            | (6 934)                     |
| <b>ნაშთი - 31.12.2020</b>    | <b>8 380 497</b>      | <b>(76 048)</b>          |                   | <b>6 983 127</b>                                                             | <b>-</b>                   | <b>9 366 475</b>            |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება |                       | -                        |                   | -                                                                            | -                          | -                           |
| გაცემული დივიდენდები         |                       |                          |                   |                                                                              |                            | -                           |
| პერიოდის მოგება/ზარალი       |                       | (143 520)                |                   |                                                                              |                            | (143 520)                   |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები    |                       | -                        |                   |                                                                              |                            | -                           |
| <b>ნაშთი - 31.12.2021</b>    | <b>8 380 497</b>      | <b>(219 569)</b>         | <b>-</b>          | <b>6 983 127</b>                                                             | <b>-</b>                   | <b>9 222 955</b>            |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი \_\_\_\_\_ ლაშა ჯაიანი, 01008017004

## კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                  | 2021<br>წელი     | 2020<br>წელი   |
|------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:</b>        |                  |                |
| მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები                         | 890 577          | 1 906 569      |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                       | 24 595           | 21 804         |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                           | (432 980)        | (387 371)      |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                      | (393 863)        | (330 724)      |
| ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები                         | (67)             | (112)          |
| გადახდილი გადასახადები                                           | (315 828)        | (562 632)      |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები            | (55 730)         | (187 192)      |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>(283 295)</b> | <b>460 342</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:</b>    |                  |                |
| მიღებული პროცენტები                                              | 65 815           | 48 662         |
| სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)  | (15 379)         | -              |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>50 436</b>    | <b>48 662</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:</b>          |                  |                |
| სესხების აღება                                                   | 68 179           | 130 100        |
| სესხების დაფარვა                                                 | (3 120)          | (32 800)       |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>65 059</b>    | <b>97 300</b>  |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                           | <b>(167 800)</b> | <b>606 305</b> |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b> | <b>808 004</b>   | <b>201 699</b> |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>      | <b>640 021</b>   | <b>808 004</b> |

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს თბილისის იპოდრომი

დირექტორი \_\_\_\_\_ ლაშა ჯაიანი, 01008017004

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისი იპოდრომი ს/კ 405170777, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 14/08/2006 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ, №13.

31 დეკემბერი 2021-ის მდგომარეობით შპს თბილისის იპოდრომი 100% წილის მფლობელია შპს თბილისი იპოდრომ სერვისის ს/კ 404869282.

ჯგუფის შექმნის თარიღია 28 თებერვალი 2011 წელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხენოსნოსპორტული კლუბების საქმიანობები.

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია 1 ლარის ერთეულამდე სიზუსტით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

---

#### 3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ საგაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

#### 3.2. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

#### 3.3. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი საგაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღიარდება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს,

შემდეგია: ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები და სასარგებლო გამოყენების ვადები:

შენობა ნაგებობები -4 %

მანქანა დანადგარები - 15-20%

საოფისე აღჭურვილობა -20-25%

ავეჯი და მოწყობილობები -14-20%

სატრანსპორტო საშუალებები -10-20%

სხვა ძირითადი საშუალებები -5-20%

შენობა-ნაგებობები 25-50 წელი -

მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი

კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი

ავეჯი 12-18 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

### **3.4. მარაგები**

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ცხენების კვების, მოვლა-პატრონობის და ჰიგიენის -თვის საჭირო მასალები. მასალები ჩამოიწერება რეალიზაციის დროს და თვითღირებულების ნაწილს შეადგენს.

### 3.5. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

### 3.6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად

### 3.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერი 2020 ლარი/1 აშშ დოლარი 3,2766 ლარი/1 ევრო 4,0233

31 დეკემბერი 2021 ლარი/1 აშშ დოლარი 3.0976 ლარი /1 ევრო 3.5040

### 3.8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში. მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1. დივიდენდის განაწილება 2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის 3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას 4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას 5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება 6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

#### 4.1 ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები    | 31.12.2021     | 31.12.2020     |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული სალაროში                      | 4 343          | 41 029         |
| ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 11 286         | 15 725         |
| ნაღდი ფული ვადიან დეპოზიტებზე            | 624 391        | 751 250        |
|                                          | <b>640 021</b> | <b>808 004</b> |

#### 4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|----------------------------|---------------|---------------|
| ადგილობრივი დამკვეთები     | 103 109       | 18 873        |
|                            | <b>18 873</b> | <b>18 873</b> |

#### 4.3 სავაჭრო ვალდებულებები

| სავაჭრო ვალდებულებები    | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|--------------------------|---------------|---------------|
| ადგილობრივი მომწოდებლები | 21 606        | 29 793        |
|                          | <b>29 793</b> | <b>29 793</b> |

## 4.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

|                                                                               | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები<br>(GEL) | მანქანა-<br>დანადგ-<br>არები<br>(GEL) | საოფის<br>ე<br>აღჭურვ<br>ილობა<br>(GEL) | სხვა<br>(GEL) | ბიოლოგი<br>ური<br>აქტივი<br>(GEL) | სულ<br>(GEL)     |
|-------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|---------------|-----------------------------------|------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>                                                   |                                           |                                       |                                         |               |                                   |                  |
| ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                       | 8,606,938                                 | 41,845                                | 3,854                                   | 13,499        | 64,900                            | <b>8,731,035</b> |
| დამატება                                                                      | 54,199                                    | -                                     | 18,261                                  |               | 20,701                            | <b>93,161</b>    |
| (შემცირება)                                                                   | (95,261)                                  |                                       |                                         | (420)         |                                   | <b>(95,681)</b>  |
| გადაფასება                                                                    |                                           |                                       |                                         |               |                                   | -                |
| <b>სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>           | <b>8,565,875</b>                          | <b>41,845</b>                         | <b>22,115</b>                           | <b>13,079</b> | <b>85,601</b>                     | <b>8,728,515</b> |
| <b>ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება</b>                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   |                  |
| ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                       | 112280.34                                 | 8250.20                               | 164.61                                  | 0.00          | 0.00                              | <b>120,695</b>   |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                                  | 112,373                                   | 8,250                                 | 1,278                                   | -             |                                   | <b>121,901</b>   |
| ჩამოწერა                                                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   | -                |
| <b>სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>224,653</b>                            | <b>16,500</b>                         | <b>1,443</b>                            | <b>-</b>      | <b>-</b>                          | <b>121,901</b>   |
| <b>ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                 | <b>7,870,393</b>                          | <b>16,500</b>                         | <b>20,672</b>                           | <b>13,079</b> | <b>85,601</b>                     | <b>8,606,614</b> |

|                                                                               | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები<br>(GEL) | მანქანა-<br>დანადგ-<br>არები<br>(GEL) | საოფის<br>ე<br>აღჭურვ<br>ილობა<br>(GEL) | სხვა<br>(GEL) | ბიოლოგი<br>ური<br>აქტივი<br>(GEL) | სულ<br>(GEL)     |
|-------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|---------------|-----------------------------------|------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>                                                   |                                           |                                       |                                         |               |                                   |                  |
| ნაშთი 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                       | 8 453 502                                 | 33 595                                | 20 837                                  | 13 079        | 85 601                            | <b>8 606 614</b> |
| დამატება                                                                      | 81 555                                    | 21 172                                | -                                       | -             | 13 430                            | <b>116 156</b>   |
| (შემცირება)                                                                   | (72 234)                                  | -                                     | -                                       | -             | (1 000)                           | <b>(73 234)</b>  |
| გადაფასება                                                                    | -                                         | -                                     | -                                       | -             | -                                 | -                |
| <b>სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>           | <b>8 462 824</b>                          | <b>54 766</b>                         | <b>20 837</b>                           | <b>13 079</b> | <b>98 031</b>                     | <b>8 649 536</b> |
| <b>ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება</b>                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   |                  |
| ნაშთი 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით                                       | 224653                                    | 22396                                 | 1443                                    | 0             | 0                                 | <b>248 492</b>   |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                                  | 112 699                                   | 11 551                                | 4 456                                   | -             | -                                 | <b>128 706</b>   |
| ჩამოწერა                                                                      |                                           |                                       |                                         |               |                                   | -                |
| <b>სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>337 352</b>                            | <b>33 947</b>                         | <b>5 899</b>                            | <b>-</b>      | <b>-</b>                          | <b>377 198</b>   |
| <b>ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                 | <b>8 350 125</b>                          | <b>43 215</b>                         | <b>16 381</b>                           | <b>13 079</b> | <b>98 031</b>                     | <b>8 520 830</b> |

#### 4.5 შემოსავლები

ჯგუფის შემოსავლის წყაროა საცხენოსნო სპორტული სკოლიდან და იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები.

| ამონაგები                                       | 2 021            | 2 020            |
|-------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან              | 856 424          | 579 258          |
| შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან |                  | 1 185 847        |
|                                                 | <b>1 765 105</b> | <b>1 765 105</b> |

#### 4.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 2021           | 2020           |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| სახელფასო ხარჯი                          | 491 131        | 399 174        |
| საოფისე ხარჯი                            | 1 608          | 1 862          |
| ელექტროენერგიის ხარჯები                  | 17 375         | 15 461         |
| წყალის, ხარჯები                          | 14 460         | 5 496          |
| ბუნებრივი აირის, ხარჯები                 | 5 240          | 3 879          |
| მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები          | 7 078          | 9 183          |
| საკანცელარიო ხარჯები                     | 777            | 708            |
| სამეურნეო ხარჯი                          | 5 512          | 13 755         |
| კომუნიკაციის ხარჯები                     | 2 193          | 1 166          |
| დასუფთავების ხარჯი                       | 604            | 2 896          |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები         | 4 042          | 2 329          |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | 128 706        | 124 849        |
| საგადასახადო ხარჯები                     | 68 293         | 74 556         |
| საბანკო ხარჯები                          | 389            | 1 159          |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები   | 28 409         | 88 575         |
|                                          | <b>775 816</b> | <b>745 046</b> |

**4.7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი**

| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი                                      | 2021         | 2020          |
|----------------------------------------------------------------------------|--------------|---------------|
| საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე საშელავათო თანხის შემოსავალში აღიარება | -            | 20 504        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                              | 8 538        |               |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                                   | -            | 9 428         |
|                                                                            | <b>8 538</b> | <b>11 076</b> |

**5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული

გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.**

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების

ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

## 6. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც 2020- 2021 წლებში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში.

ამ გარემოებებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე:

- საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებით გამოცხადდა გარკვეული შეზღუდვები, რამაც ხელი შეუშალა კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას. შემცირდა შემოსავლები და შეიზღუდა მომართვითიანობა ჩვენი მომსახურების მიმართ.

## 7. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა

## 8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2022 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი \_\_\_\_\_ ლაშა ჯაიანი, 01008017004